

გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე ბრადლებულებს ბრადს წარუდგენენ

✘ 19 წლის გიორგი შაქარაშვილის საქმეზე 17 დაკავებულს ბრადს სავარაუდოდ დღეს წარუდგენენ. ამის შემდეგ სასამართლო მათთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელებს.

ჯერჯერობით უცნობია ბრადლების შუამდგომლობა, თუმცა სავარაუდოდ ეს პატიმრობის მოთხოვნა იქნება. მანამდე აღვოკატები საქმის მასალებს ელოდებიან, სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა 17 დაკავებუდიდან, ვის რა როლი აქვს 19 წლის ფეხბურთელის გარდაცვალებაში. რეზონანსური საქმის მასალებშია მოწმეთა ჩვენება და ვიდეომტკიცებულება, რაც იმის საფუძველი გახდა, რომ გამოძიებას გიორგი შაქარაშვილის საქმეზე კონკრეტული ადამიანები დაეკავებინა.

” 2020 წლის 18 ივნისს, მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში სტუმრად მყოფი მოზარდების ორ ჯგუფს შორის მოხდა სიტყვიერი დაპირისპირება, რაც გადაიზარდა ფიზიკურ ძადადობაში. ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, კონფლიქტში მონაწილე ერთი ჯგუფი დაბრუნდა თბილისში, ანგარიშსწორების მიზნით დააორგანიზა ჯგუფური ძადადობა და ავტომანქანებით გაემგზავრა მცხეთაში.

თბილისი-სენაკი-დესერტიძის საავტომობილო გზაზე, ნარეკვავის დასახლების მიმდებარედ, ორგანიზებული ჯგუფის წევრები თავს დაესხნენ გზაზე მიმავარ მოზარდებს და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რა დროსაც გიორგი შაქარაშვილი და მისი თანმხლები პირები, ძადადობის თავიდან აცილების მიზნით, მდინარე არაგვის მიმართულებით გაიქცნენ.

ორგანიზებული ჯგუფის წევრები, ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით, დაედევნენ გაქცეულებს, რომლებიც მიიმარნენ მდინარის კარაპოტის მიმდებარე ტერიტორიაზე. ანგარიშსწორების მიზნით, მოძადადეებმა განაგრძეს გიორგი შაქარაშვილისა და მისი თანმხლები პირების დევნა, რა დროსაც გიორგი შაქარაშვილი დევნისგან თავის დაღწევის

მიზნით გაიქცა მდინარის კარაპოტის მიმართულებით, ხოლო მისი მეგობარი, 2001 წელს დაბადებული გ.ა. იპოვეს და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

გიორგი შაქარაშვილის ცხედარი 4-დღიანი სამაშველო-სამძებრო ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილ იქნა მდინარე არაგვის კარაპოტში. ვინაიდან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დასრულებული არ არის და შესაბამისად, უცნობია გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების მიზეზი, გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები ყველა შესაძლო ვერსიაზე. გარდაცვალების უშუალო მიზეზის დადგენის შემდგომ, შესაძლოა, შეიცვალოს საქმის კვარიფიკაცია და დამძიმდეს ბრადდება. ჩვენ კვლავ აქტიურად ვთანამშრომლობთ გარდაცვრილის ოჯახთან და გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ ვაწვდით ინფორმაციას“, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

ფეხბურთედ გიორგი შაქარაშვილის საქმეზე 17 ახარგაზრდა დააკავეს. მათ შორის არიან მცხეთის აგარაკზე მომხდარი კონფლიქტის უშუალო მონაწიდეები და ის მორაგბეები, რომლებიც ავტომობილით მოგვიანებით ჩავიდნენ.

19 წლის ფეხბურთელი, რომლის დაზიანებული ცხედარიც მაშველებმა 4 დღიანი ძებნის შემდეგ, მდინარე არაგვში იპოვეს, გუშინ დაკრძალეს. ოჯახი ექსპერტიზის პასუხის მოლოდინშია.